

**ხელახალი თარგმანი: ჯორჯ ორუელის რომანის Animal Farm ქართული  
თარგმანების შედარებითი ანალიზი**

**სალომე ჩიტაძე**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული  
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა  
(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2022**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე ჩიტაძე



25.06.2022

## აბსტრაქტი

უკანასკნელ ათწლეულებში ხელახალი თარგმანის ფენომენი აქტიურად შეისწავლება უცხოეთის აკადემიურ წრეებში, თუმცა იშვიათად ჩნდება ქართულ აკადემიურ ნაშრომებში. წინამდებარე ნაშრომი ამ დანაკლისის შევსებას ემსახურება. ნაშრომი მიზნად ისახავს ქართული ლიტერატურული ტექსტის პირველ და ხელახალ თარგმანებს შორის მიმართებების დადგენას. მასში გამოკვლეულია ჯორჯ ორუელის რომანის Animal Farm სამი ქართული თარგმანი. ნაშრომის მიზანია ამ თარგმანებს შორის სხვადასხვა ტიპის კავშირების აღმოჩენა და მათი შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამი ტიპის კავშირს: ლექსიკურ, სტრატეგიულ და ინტერტექსტუალურ კავშირებს.

ნაშრომში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები. პირველ ეტაპზე, ტექსტის შერჩეულ ნაწყვეტებში შესწავლილია მთარგმნელების მიერ ცალკეულ შემთხვევებში შერჩეული ლექსიკური ერთეულები პიტ ვან პოუკის მეთოდოლოგიის მიხედვით. შემდეგ ნაწყვეტები გაანალიზებულია ვინესა და დარბელნეს მოდელის მიხედვით - გაანალიზებულია ლექსიკური ერთეულების თარგმნისას გამოყენებული პროცედურები. ადრეულ და ხელახალ თარგმანებს შორის ინტერტექსტუალური კავშირის აღმოჩენის მიზნით ტექსტის ბოლოს სამი თავი გარჩეულია ჯანგისა და მას „კავშირებისა“ და „უთანხმოებების“ მოდელის მიხედვით..

საანალიზოდ შერჩეულ თარგმანებში აღმოჩენილია ლექსიკური, სტრატეგიული და ინტერტექსტუალური კავშირები. სამი მთარგმნელის მიერ მიღებული ლექსიკური გადაწყვეტილებებით დაწყებული, მათ მიერ გამოყენებული პროცედურებით დასრულებული, აშკარაა ინტერტექსტუალური კავშირი თარგმანებს შორის. ეს მჭიდრო კორელაციები სხვადასხვა დონეზე სამ ქართულ თარგმანს შორის ცხადყოფს, რომ იმ

შემთხვევებშიც კი, როდესაც თარგმანები ინდივიდუალური და ერთმანეთისგან განსხვავებულია, მათ შორის მაინცაა შესაძლებელი უამრავი კავშირის აღმოჩენა.

პირველ და ხელახალ თარგმანებს შორის კორელაციების კვლევა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავანალიზოთ ხელახალი თარგმანი და დავაკვირდეთ ტექსტის თითოეულ შრეს. კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს, შევადგინოთ მონაცემები იმ ფენომენის შესახებ, რომელიც თარგმანმცოდნეობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ხელახალი თარგმანი, ლიტერატურული თარგმანი, „ცხოველების ფერმა“, კავშირები, ინტერტექსტუალობა

## Abstract

The phenomenon of retranslation has recently become a subject of scholarly interest in in foreign academia, yet the issue remains largely underexplored in Georgian studies dealing with modern literature translation. The thesis tends to fill up this gap and aims to examine the links between the first and retranslations of the same source text in Georgian. It compares three Georgian translations of George Orwell's *Animal Farm*. The objective of the study is to investigate links between these translations. The thesis mainly focuses on three types of links: lexical, strategic and intertextual.

The study uses both quantitative and qualitative research methods. First, selected extracts of the text are studied according to the lexical choices made by first and retranslators, as suggested by Piet Van Poucke. Then the extracts are examined through the lens of Vinay and Darbelnet's model –procedures used while translating each lexical unit is analyzed. Lastly, three chapters are studied according to Huanyao Zhang and Huijuan Ma's model of `filiation` and `dissidence` to identify intertextual links between previous and retranslations of *Animal Farm* into Georgian.

In the translations chosen for analysis, lexical, strategic and intertextual links are evident. Starting from the lexical choices made by three translators, finishing with the procedures they used to translate lexical units, intertextual connections are undeniable. Tight correlations between three Georgian translations on different levels suggest that even in the cases of translations being individualistic and different from each other, they still carry many similarities.

The study of correlations between the early translation and retranslations lets us analyze the process of retranslation and scrutinize each layer of the text carefully. It also allows us to gather valuable data about this phenomenon, which is an important part of translation studies.

**Key Words:** Retranslation, literary translation, *Animal Farm*, links, intertextuality

## მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო მატარაძეს, სწორი მიმართულების მოცემისათვისა და გაწეული შრომისათვის.

მადლობას ვუხდით ჩემს თანაკურსელებსა და მეგობრებს თანადგომისა და გამხნეებისათვის.